

მენეჯმენტის საფუძვლები

აქტიური სწავლება ნაწილი I

საქმიანი თამაშები



სავარჯიშოები



სიტუაციები



ტესტები

ბადრი გეჩაია, პაატა აროშიძე

მენეჯმენტის საფუძვლები



აქტიური სწავლება

ნაწილი I

საქმიანი თამაშები

სავარჯიშოები

სიტუაციები

ტესტები

ბათუმი

2013

თანამედროვე სწავლების პროცესი, ყოველწლიური გამოცდილებიდან გამომდინარე, საშუალებას იძლევა ჯგუფურ და სემინარულ მეცადინეობებზე შეტანილ იქნას ახალი აქტივობები და მიდგომები. მენეჯმენტის საფუძვლების საწყისი კურსისათვის მეთოდურ-პრაქტიკული მასალის გადმოცემის აუცილებლობა სტუდენტებთან სწორედ ამ მარავალწლიანი მუშაობის ანალიზის შედეგია. ავტორებმა გადაწყვიტეს მენეჯმენტის საფუძვლების საწყისი კურსის შემსწავლელ სტუდენტებს საშუალება მისცენ საქმიანი თამაშების, სიტუაციების, ტესტების, სავარჯიშოების და სხვა ფაქტების საფუძველზე გაიდრმაონ თეორიული ცოდნა, იაზროვნონ რაციონალურად და გააკეთონ ეფექტიანი დასკვნები, რაც სტუდენტებს მისცემს თვითრეალიზაციის საშუალებას.

ნაშრომში გამოყენებულია ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული ლიტერატურა აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით. მოიცავს იმ თემებს, რომლებიც გათვალისწინებულია სილაბუსის შესაბამისად.

ვფიქრობთ ეს წიგნი სტუდენტების შეფასების მრავალფეროვანი სისტემის დანერგვას და, აქედან გამომდინარე, სალექციო კურსის განვითარებას უთუოდ შეუწყობს ხელს, რაც სასწავლო პროცესს უფრო შემოქმედებითს გახდის.

რედაქტორი: გელა მამულაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

რეცენზენტები: ბესიკ ბაუჩაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ნინო ფარესაშვილი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებამ გამოიწვია მართვისადმი მიდგომის მიმართ ცვლილებათა აუცილებლობა. თუ გვემიურ-ადმინისტრაციულ სისტემაში წარმოებულის დაგეგმვა და წარმოებულის განაწილება ხდებოდა ცენტრალიზებული საგეგმო ორგანოების მიერ, სამაგიეროდ საბაზრო ეკონომიკაში ხორციელდება დაგეგმვის დეცენტრალიზაცია. ამ პირობებში იზრდება ხელმძღვანელ პირთა მიმართ მოთხოვნები. თავისუფალია მწარმოებელიც და მომხმარებელიც. ამას მივყავართ შრომითი საქმიანობის, კონტროლის, და შესაბამისად, მმართველობის მოტივაციის ცვლილებამდე.

მმართველობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ფირმების მიზნების, მისიის, ამოცანათა შემუშავებას კონკურენციის პირობებში.

ადამიანთა, ჯგუფების ან კონკრეტული ადამიანის მართვის პროცესი საბაზრო ეკონომიკაში მიღებულია იწოდებოდეს მენეჯმენტად, ხოლო ადამიანი, რომელიც პროცესიულად ეწევა ადამიანთა მართვას იწოდება მენეჯერად. ის, ვინც მართავს პერსონალს (მუშებს, მოსამსახურეებს) უნდა ფლობდეს მართვის მეცნიერულ საფუძვლებს, იცოდეს ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პედაგოგიკა და ბუნებრივია, ის უნდა კარგად ერკვეოდეს იმ წარმოებაში, ადამიანებში, რომელთაც იგი მართავს.

წარმოდგენილი წიგნი მოწოდებულია აღჭურვოს მომავალი სპეციალისტები მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნით, ჩამოუყალიბოს მათ ცოდნის წიგნიერი, სწორი გამოყენება მმართველობით საქმიანობაში.

4. ჩამოაყალიბეთ და დაახასიათეთ მენეჯმენტის განვითარების ეტაპები საქართველოში

**5. ვიქნებით თუ არა მართლები მაღაზიის გამყიდველს დავარქვათ გაყიდვების მენეჯერი?
ჩამოაყალიბეთ თქვენი პასუხი**

6. ვის შეიძლება ეწოდოს მენეჯერი ორგანიზაციაში? მოიყვანეთ მაგალითები

ადმინისტრაციული მართვის სკოლა (1920-1950) დაფუძნებულია ანრი ფაიოლის მიერ შემუშავებულ მეცნიერულ მიდგომაზე, რომლის მთავარ იდეასაც წარმოადგენს – ორგანიზაციის როგორც იერარქიული სტრუქტურის რაციონალური აგება.

მომუშავეებზე ყურადღება; ხოტორნის ექსპერიმენტები. ფსიქოანალიტიკური სკოლა მენეჯმენტში. ხოტორნის ექსპერიმენტები დაიწყო „ვესტერნ ელექტრიკ ხოტორნის“ საწარმოში. ეს ექსპერიმენტები დაიწყო სამუშაო პირობების შეცვლის მიზნით, რომლის ძირითადი იდეა იყო ეფექტიანობის ამაღლება, მომუშავეთა შრომის ნაყოფიერების ზრდა.

2. ორგანიზაციის სტრუქტურა ორგანიზაციის შიდა და გარე დარემო

1. ძირითადი ცნებები:

ორგანიზაცია _____

2. შეავსეთ სქემა.



3. აღწერეთ ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს ცვალებადობა.

ძირითად შინაგან ცვლადებს ტრადიციულად მიეკუთვნებენ: სტრუქტურას, ამოცანებს, ტექნოლოგიას, ადამიანებს.

სტრუქტურა			
დავალებები			
ტექნოლოგიები			
ადამიანები			

4. ორგანიზაციას შეუძლია გადარჩეს და გახდეს ეფექტური, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოახერხებს შეეგუოს გარე გარემოს.

ლოკალური გარემო
(პირდაპირი ზემოქმედების
გარემო)

გლობალური გარემო
(ირიბი ზემოქმედების გარემო)

საერთაშორისო გარემო
(მრავალეროვნული კომპანიების
ბიზნესის გარემო)

მართვის სტრუქტურა

მართვის სტრუქტურა არის მმართველობის რგოლების ერთობლიობა, რომლებიც იმყოფებიან ურთიერთკავშირში და თანადაქვემდებარებაში და უზრუნველყოფენ ორგანიზაციის, როგორც ერთიანი მთლიანის, ფუნქციონირებას და განვითარებას.

დასახული ამოცანების მისაღწევად და შესაბამისი ამოცანების შესასრულებლად მენეჯერმა უნდა შექმნას წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა (მართვის ორგანიზაციული სისტემა). ორგანიზაციული არ არის მის ელემენტებს შორის კავშირებისა და ურთიერთობათა ერთობლიობა. მართვის ორგანიზაციული სისტემა არის ქვედანაყოფებისა და თანამდებობების ერთობლიობა, დაკავშირებული ურთიერთობებით და დაქვემდებარებებით. მართვის სტრუქტურის შექმნის დროს მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს ფორმის საქმიანობის სპეციფიკა და მისი ურთიერთქმედების განსაკუთრებულობა გარე სამყაროსთან.


მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნის პროცესი ჩვეულებრივ მოიცავს სამ ძირითად ეტაპს:

1. ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპის განსაზღვრა (პირდაპირი დაქვემდებარება, ქვედანაყოფები, მატრიცული სტრუქტურა დას ხვ.);
2. სტრუქტურულ ქვედანაყოფთა გამოყოფა (მართვის აპარატი, ქვედანაყოფები, მიზნობრივი პროგრამები დას ხვ.);
3. დელეგირება, უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობათა გადაცემა (ურთიერთობები ხელმძღვანელობა – დაქვემდებარება, ურთიერთობები ცენტრალიზაცია – დეცენტრალიზაცია, კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზაციული მექანიზმები, ქვედანაყოფების საქმიანობის რეგ-ლამენტაცია, სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობების შესახებ დებულებების დამუშავება).

სხვადასხვა ქვედანაყოფებს შორის კავშირების ხასიათის მიხედვით განსხვავებულ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით შემდეგ ტიპებს:

- ❖ ხაზოვანი;
- ❖ ფუნქციონალური;
- ❖ დივიზიონალური;


5. აღწერეთ მართვის სტრუქტურის განსაკუთრებულობა, მათი პლიუსები და მინუსები, მართვის ხაზოვანი სტრუქტურა



პლიუსები	მინუსები

პლიუსები	მინუსები

მომხმარებელზე ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურა



პლიუსები	მინუსები

6. განსაზღვრეთ:

ხელმძღვანელი

სპეციალისტი

შემსრულებელი

1. რა როლს თამაშობს მენეჯერი ორგანიზაციაში ?

პრაქტიკული სამუშაო № 1

ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურის შედგენა

ფირმის დასახელება _____

საქმიანობის სახე _____

პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) დასახელება _____

მომუშავეთა რაოდენობა _____ ადამიანი.

მათ შორის

• ადმინისტრაციული პერსონალი _____ ადამიანი

• მუშაკები _____ ადამიანი

მუშათა ხვედრითი წილი პერსონალის საერთო რიცხვში _____ %

შეადგინეთ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, განსაზღვრეთ მისი ტიპი, აღწერეთ ურთიერთკავშირი საწარმოს ცალკეულ რგოლებს შორის. აღწერეთ მოცემული საწარმოს გარე გარემო.

3. მენეჯმენტის ციკლი. მენეჯერი ორგანიზაციაში

1. შეავსეთ მენეჯმენტის ციკლის სქემა

მოახდინე ზემოქმედება		დაგეგმე
შეამოწმე		შეასრულე

2. ჩაწერეთ მენეჯერთა საერთო ამოცანები

3. მენეჯერთა ტიპები მმართველობის დონეების მიხედვით

მართვის დონე	ვინ მიეკუთვნება	ძირითადი ამოცანები
უმაღლესი	ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები	ორგანიზაციის მიზნების ფორმირება, სტრატეგიული გეგმების დამუშავება; ორგანიზაციის ურთულეროქმედება გარე გარემოსთან
საშუალო	ორგანიზაციის ყველა დანარჩენი ხელმძღვანელები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან უმაღლეს და ქვედა დონეებს	ქვედა დონის ხელმძღვანელების მუშაობის კოორდინაცია, ცალკეული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა
ქვედა	ხელმძღვანელები, რომელთაც არ ჰყავთ არავინ დაქვემდებარებაში	მუშაკთა უშუალო ორგანიზაცია, რომლებიც დაკავებული არიან ძირითადი საქმიანობით, აკონტროლებენ ნედლეულისა და მასალების გამოყენებას


სსიპ - ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ადმინისტრაცია
 ბიბლიოთეკა
 № _____

ჩაწერეთ ცხრილში მენეჯერები მმართველობის დონის მიხედვით: ბრიგადირი, ოსტატი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, გენერალური დირექტორი, ფინანსური მენეჯერი.

3. რა თვისებები უნდა გააჩნდეს თანამედროვე მენეჯერს?

4. დაგეგმვა მენეჯმენტის სისტემაში

მენეჯმენტის ფუნქციები



ახორციელებს რა კავშირს ორგანიზაციის თანამედროვე მდგომარეობასა და იმას შორის, რომელსაც მან უნდა მიაღწიოს მომავალში, დაგეგმვის მეთოდი მოიცავს გადაწყვეტილებათა მიღებას იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს, როდის გაკეთდეს და ვინ გააკეთებს მას. დაგეგმვის პროცესის შედეგია გეგმები.

გეგმა – არის ურთიერთდაკავშირებული, ერთიანი საერთო მიზნით გაერთიანებულ დავალებათა სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებითი სისტემის მიზნების რეალიზაციას.


1. დაასახელეთ და აღწერეთ დაგეგმვის პრინციპები

1.	
2.	
3.	
4.	
5.	

სტრატეგიული დაგეგმვა დაგეგმვის ეს ფორმა ხანგრძლივი დროის მონაკვეთს მოიცავს და განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზნების შესაბამისობას მიზნობრივ ჯგუფებთან და მათ საჭიროებებთან. არსებითად ეს არის კონკრეტულ ქმედებებში ასახული ორგანიზაციის მსოფლმხედველობა. ეს პროცესი ეხმარება ჩამოაყალიბოს თავისი პოლიტიკა, თუ მას სწორად განვსაზღვრავთ, რეალობასთან თანხვედრასა და მთლიანობასაც მივალწევთ. არსებული გარე ფაქტორების გათვალისწინებით საჭირო ხდება ცვლილებების შეტანა სტრატეგიულ დაგეგმვაში, რათა მათ არ დაკარგონ აქტუალობა და ზუსტად შეესაბამებოდნენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. შესაბამისად, სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ სტრატეგიულ გეგმას უნდა გადავხედოთ. სტრატეგიული დაგეგმვის ელემენტებია:

- მოქმედების სფეროსა და მიზნობრივი ჯგუფის შერჩევა;
- ორგანიზაციის მახასიათებლები;
- პროგრამები;
- მიზნები და ამოცანები;
- არაპროგრამული სერვისი;
- რესურსები.

2. აღწერეთ სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები



1. მისიის და მიზნების ფორმირება

ფირმის მისია

მისია ფართო გაგებით

მისია ვიწრო გაგებით

რისთვის სჭირდება ფირმას მისია?

ფირმის მიზნები

ორგანიზაციის მიზნები უნდა იყოს:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

მოიყვანეთ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნების მაგალითები

დარგი	მიზანი
ფინანსები	
წარმოება	
კადრები	
მარკეტინგი	

2. სტრატეგიული ანალიზის ჩატარება

სტრატეგიული ანალიზის ჩატარება გულისხმობს ფირმის სტრატეგიული მდგომარეობის შეფასებას შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- შიდა მიკროგარემოს, რომელიც სრულად კონტროლდება ფირმის მენეჯმენტის მიერ და მოიცავს ფირმის ქვედანაყოფებს;
- გარე მიკროგარემოს (საქმიანი გარემოცვა), რომელსაც არეგულირებს ფირმის მენეჯმენტი და მოიცავს: მომწოდებლებს, კონკურენტებს, შუამავლებს (სავაჭრო ფირმები, სატრანსპორტო ლოჯისტიკური კომპანიები, სპეციალიზებული ფირმები (რეკლამა, კონსალტინგი), საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, კლიენტები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, სახელმწიფო დაწესებულებები, ფართო საზოგადოება;
- მაკროგარემოს – აბსოლუტურად არა კონტროლქვეშ მყოფი ფირმის მენეჯმენტისაგან და მოიცავს: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ გარემოცვას.

გარე გარემოს ანალიზის მიზანი

საქმიანი ვითარება - არის გარე და შიდა გარემოს ელემენტთა ერთობლივ მომსახურებელი არსებით გავლენას ახდენენ სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე ფირმის საქმიანობაში ბაზარზე.

მენეჯერისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეს, განსაზღვროს და პროგნოზირება გაუკეთოს საქმიან ვითარებას. ამაზე დამოკიდებული ბიზნეს-საქმიანობის ეკონომიკურ მაჩვენებლების არა მარტო ზრდა და დაცემა, არამედ ასევე კომპანიის საქმიანობის უსაფრთხოება განსაზღვრულ პირობებში.

ფირმის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი (SWOT)

S (Strengths) _____

W (Weaknesses) _____

O (Opportunities) _____

T (Threats) _____

რისთვისაა საჭირო ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი?

3. სტრატეგიული ალტერნატივების შერჩევა და შეფასება

სტრატეგია - არის საბაზო გადაწყვეტილებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია ფირმის გენერალური მიზნის მიღწევისაკენ, იგი გამომდინარეობს საბაზრო სიტუაციის და საკუთარი შესაძლებლობების შეფასებიდან, აგრეთვე გარე გარემოს სხვა ფაქტორებიდან და ძალბიდან.

სტრატეგიის ელემენტებია:

- მრეწველური მიზნები;
- ტექნოლოგიები;
- მრეწველობის;
- მართვის სისტემა - რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

იმის შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა შეადარებს გარე საფრთხეებს და შესაძლებლობებს შიდა ძალებთან და სისუსტეებთან, მას შეუძლია განსაზღვროს სტრატეგია. ამ ეტაპზე ხელმძღვანელობამ პასუხი გასცა კითხვაზე: „რა საქმეს ვაკეთებთ ჩვენ?“ და ახლა მზადაა დაკავებული იყოს კითხვებით: „საით მივდივართ ჩვენ“ და „როგორ მოვხვდებით ჩვენ წინაშე, სადაც ვიმყოფებით ახლა, წინაშე, სადაც ჩვენ გვინდა რომ ვიყოთ?“

სტრატეგიული ალტერნატივების ანალიზი. სტრატეგიის შეფასება

ფირმის განვარგულებაშია ოთხი სტრატეგიული ალტერნატივა:

1. შეზღუდული ზრდა; 2. ზრდა; 3. შემცირება; 4. ამ ვარიანტების შეთავსება.

1. შეზღუდული ზრდა

2. ზრდა

3. შემცირება

4. შეთავსება

ტაქტიკური დაგეგმვა - მთლიანად ფირმის (ორგანიზაციის) და მისი ცალკეული ქვედანაყოფების ოპერატიული გეგმების (ერთი წლის) დეტალური დამუშავება (ოგულისხმება მარკეტინგის, წარმოების, ლოგისტიკის და სხვ.).

4. აჩვენეთ განსხვავებები სტრატეგიულ და ტაქტიკურ დაგეგმვას შორის

დახასიათება	სტრატეგიული დაგეგმვა	ტაქტიკური დაგეგმვა
დაწვრილებით		
დროებითი დონე		
პირები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს		

პრობლემების ხასიათი		
მოქმედებათა რეგულირების ხასიათი		
ალტერნატივების რაოდენობა		

5. მიმდინარე, ანუ ოპერატიული დაგეგმვა

.....

.....


.....

.....

5. მენეჯმენტის ფუნქცია – ორგანიზაცია

ორგანიზაცია – არის საწარმოო სტრუქტურის შექმნის პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს იმუშაონ ეფექტურად ერთად მისი მიზნების მისაღწევად.

არსებობს ორგანიზაციული პროცესის ორი ძირითადი ასპექტი:



დელეგირება -

დელეგირების მიზნები:

- 1.
- 2.
- 3.

დელეგირება ემყარება

უფლებამოსილებები

როგორ გესმით სამხედრო ანდაზა „ესაღმებთან მუნდირს და არა ადამიანს“
დელეგირებასთან შეფარდებით?


ხელმძღვანელისათვის

დელეგირების უპირატესობანი:

ხელქვეითებისათვის

რით აიხსნება ხელმძღვანელთა სურვილის უქონლობა უფლებამოსილებათა დელეგირებაზე?

ხელქვეითები თავს არიდებენ უფლებამოსილებათა მიღებას . . . გამო:



პასუხისმგებლობა ნიშნავს _____

თუ არის უფლებამოსილება > პასუხისმგებლობის

თუ არის პასუხისმგებლობა > უფლებამოსილებათა


6. მოტივაცია

მოტივაცია - დუაიტ დ. ეიზენჰაუერმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა მოტივაციის განმარტება: მოტივაცია არის უნარი, ადამიანი იქამდე მიიყვანოთ, რომ გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა იმიტომ, რომ ეს თვითონ მას სურს.


სტიმულირება - სტიმულის მიცემა; წაქეზება.

მოტივირება - იმის მოლოდინი, რომ ძალისხმევა სასურველ შედეგს მოგვცემს, მოლოდინი, რომ მიღებულ შედეგს შესაბამისი ჯილდო მოჰყვება, ჯილდოს მოსალოდნელი ფასეულობა.

სტიმულირების მიზანი _____



მასლოუს მოთხოვნილებათა თეორია



მასლოუს თეორიის გამოყენება _____

უმადლეის დონის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მეთოდები, სოციალური მოთხოვნილებანი

- მიეცით მუშაკებს ისეთი სამუშაო, რომელიც მათ ურთიერთობის დამყარების საშუალებას მისცემს;
- შექმენით სამუშაო ადგილებზე ერთიანი რაზმის სულისკვეთება;
- ჩაატარეთ ხელქვეითებთან პერიოდული თათბირები;
- არ ეცადოთ დაშალოთ არაფორმალური ჯგუფები, თუ ისინი არ აყენებენ ორგანიზაციას რეალურ ზიანს;
- შექმენით პირობები ორგანიზაციის წევრთა სოციალური აქტიურობისათვის მის ფარგლებს გარეთ.

პატივისცემის მოთხოვნილებანი.

- შესთავაზეთ ხელქვეითებს უფრო შინაარსიანი სამუშაო;
- უზრუნველყავით მათთვის დადებითი უკუკავშირი მიღწეულ შედეგებთან;
- მაღალი შეფასება მიეცით და წააქეზეთ ხელქვეითთა მიერ მიღწეული შედეგები;
- ჩართეთ ხელქვეითები მიზნების ფორმულირებაში და გადაწყვეტილებათა შემუშავებაში;
- მიანიჭეთ, დელეგირება გაუკეთეთ ხელქვეითებს დამატებითი უფლებების და უფლებამოსილებების;
- დააწინაურეთ ხელქვეითები სამსახურებრივ იერარქიაზე;
- უზრუნველყავით სწავლება და გადამზადება, რომელიც ამაღლებს კომპეტენტურობის დონეს.

თვითგამოხატვის მოთხოვნილებანი.


- უზრუნველყავით ხელქვეითათვის სწავლისა და განვითარების შესაძლებლობები, რომელიც საშუალებას მისცემს სრულად გამოიყენონ მათი პოტენციალი;
- მიეცით ხელქვეითებს რთული და მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელიც მოითხოვს მათგან სრულ ძალისხმევას;
- წახალისეთ და განავითარეთ ხელქვეითებში სემოქმედებითი უნარ-ჩვევები.

ჰერცბერგმა აჩვენა, რომ ადამიანთა საქმიანობაზე გავლენას ახდენს ფაქტორთა ორი ჯგუფი, რომელთაც მან უწოდა ჰიგიენური და მოტივირებადი

ფაქტორების ჯგუფი	ფაქტორები	საზოგადოებაზე გავლენა
ჰიგიენური (დაკავშირებული სამუშაოს პირობებთან)	ხელფასი, შრომის პირობები, სხვა მუშაკებთან დამოკიდებულება, ადმინისტრაციის საქმიანობა	თვით სრული დაკმაყოფილების დროს არ მოტივირებენ (არ ასაბუთებენ) შრომის ეფექტიანობის ამაღლებას

პასუხისმგებლობა პრობლემის გადაჭრის მიზნისათვის და სურთ, რომ მათ მიერ მიღწეული შედეგები წახალისებული იქნენ სრულიად კონკრეტულად.

მოტივაცია თანამონაწილეობის მოთხოვნის საფუძველზე მაკ-კლელანდის მიხედვით მსგავსია მოტივაციასთან მასლოუს მიხედვით. ასეთი ადამიანები დაინტერესებული არიან ნაცნობებთან მეგობრობით, მეგობრული ურთიერთობების აწყობით, სხვისადმი დახმარებით.



მაკ-კლელანდის თეორიის გამოყენება

ექსპორტორ ვრუმი თვლიდა, რომ ადამიანი იმედოვნებს იმაზე, რომ მის მიერ არჩეული ქცევის ტიპი ნამდვილად მიიყვანს სასურველის დაკმაყოფილებამდე ან შექენამდე. შრომის მოტივაციის ანალიზის დროს მოლოდინის თეორია ხაზს უსვამს სამი ურთიერთკავშირის მნიშვნელობას: შრომის დანახარჯები-შედეგები; შედეგები-გასამრჯელო და ვალენტობა (გასამრჯელოთი დაკმაყოფილება), მოლოდინები შრომის დანახარჯების მიმართ -შედეგების **(3-P)** — ეს არის შეფარდება დახარჯულ ძალისხმევასა და მიღებულ შედეგებს შორის.

მოლოდინები შედეგების მიმართ - გასამრჯელოების მიმართ **(P-B)** არის მოლოდინები განსაზღვრული დაჯილდოების, გასამრჯელოს ან წახალისების მიღწეული შედეგების დონის საპასუხოდ.

ვალენტურობა - არის სავარაუდო ხარისხი შედარებითი დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის, რაც წარმოიშობა განსაზღვრული დაჯილდოების მიღების შედეგად.

რამდენადაც სხვადასხვა ადამიანებს დაჯილდოების მოთხოვნები და სურვილები გასამრჯელოს მიმართ სხვადასხვაგვარია, მაშინ კონკრეტული გასამრჯელოს, შეთავაზებულს

მირწეული შედეგების საპასუხოდ, შეიძლება არც ჰქონდეს მათთვის არავითარი ფასი. მაგალითად, შესრულებული სამუშაოსათვის მენეჯერს შეუძლია მიიღოს დანამატი ხელფასზე, მაშინ, როცა იგი იმედს ამყარებდა სამსახურში დაწინაურებაზე ან უფრო საინტერესო და რთულ სამუშაოზე, ან/და უფრო მეტ პატივისცემაზე და მისი დამსახურებების აღიარებაზე. თუ ვალენტობა დაბალია ე.ი. ფასეულობა, მიღებული გასამრჯელოსი ადამიანისათვის არც ძალიან დიდია, მაშინ მოლოდინთა თეორია წინასწარმეტყველებს, რომ შრომითი საქმიანობის მოტივაცია ამ შემთხვევაშიც შესუსტდება.

ამ ფაქტორების თანაფარდობა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით:

$$\text{მოტივაცია} = 3-P \times P-B \times \text{ვალენტობა.}$$

ვრუმის მოლოდინის თეორიის გამოყენება

რეკომენდაციების კონტროლის ჩატარებისათვის

1. დაადგინეთ გააზრებული სტანდარტები, აღქმული თანამშრომლების მიერ.
2. განერიდეთ ზომასზე მეტ კონტროლს.
3. დაადგინეთ მკაცრი, მაგრამ მიღწევადი სტანდარტები
4. დააჯოღლოვეთ სტანდარტის მიღწევისათვის

კოორდინაცია

მართვის პროცესში კოორდინაცია არის სისტემის სხვადასხვა ელემენტების მოწესრიგება და მუშაობის შეთანხმება მათი ერთობლივი საქმიანობის პროცესში. კოორდინაცია მართვის პროცესის ცენტრალური ფუნქციაა, რაც უზრუნველყოფს მის შეუფერხებლობას და უწყვეტობას. კოორდინაციის მთავარი ამოცანაა - მუშაობაში ორგანიზაციის ყველა რგოლის შეთანხმების მიღწევა, რაციონალური კავშირების დამყარება მათ შორის.

პრაქტიკული სამუშაო № 2.

ორგანიზაციის მისიის შედგენა. მუშაკთა მოტივაციის წესის დამუშავება. კონტროლის ჩატარების გეგმის შედგენა

ორგანიზაციის დასახელება

საქმიანობის სახე

მისია

მიზნები

დაამუშავეთ მუშაკთა მოტივაციის სისტემა

შეადგინეთ კონტროლის ჩატარების გეგმა

წინასწარი

მიმდინარე

Isomorphismen

8. მართვის მეთოდების სისტემა. თვითმენეჯმენტი

მართვის მეთოდები -

თვითმენეჯმენტი

თვითმენეჯმენტის მიზანი

აღწერეთ ხელმძღვანელის პირადი გეგმის თითოეული პუნქტი:


1. თავისი სამუშაოს დაგეგმვა

2. თავისი სამუშაო დროის დაგეგმვა

3. სამუშაოს დაგეგმვა თვითდახელოვნებისათვის

4. თავისი ცხოვრების ხარისხის დაგეგმვა

გონივრული ცხოვრების წესის შესაქმნელი:



საქმიანი თამაში „თანამდებობის დაკავება“

(სიტუაციის დასაბუთება)

კოლექტივში ახალი ხელმძღვანელის გამოჩენა ყოველთვის არის მნიშვნელოვანი მოვლენა როგორც მისთვის, ასევე ქვეშევრდომთათვის. თანამდებობის დამკავებელს, თუნდაც იგი არ იყოს დანიშნული, არამედ არჩეული იქნას კოლექტივის მიერ ან დაინიშნა თანამდებობაზე კონკურსის წესით, უხდება ჯერ კიდევ დაიმსახუროს ან განამტკიცოს თავისი ავტორიტეტი და კოლექტივის ნდობა. მას მოუხდება ადაპტირება კოლექტივში, რომლის ურთიერთობათა სისტემა, მიზანდასახულობა, განწყობა და მუშაობის სტილი უკვე ჩამოყალიბებულია. ამიტომ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გართულებები, წინააღმდეგობები, კონფლიქტები, რაც ხანდახან ახალი ხელმძღვანელის ჩამოშორებითაც კი მთავრდება.

ყველაზე დიდ სირთულეებს აწყდებიან ამ დროს ახალგაზრდა, დამწყები ხელმძღვანელები. მათ როგორც წესი, არ შეუძლიათ ჯერ კიდევ ადამიანთა მართვა, ცუდად გრძობენ განსხვავებას პირად კონტაქტებსა და საქმიან ურთიერთობებს შორის. სხვა უკიდურესობა გამოიხატება სწრაფვაში თავიდან აიცილონ აქტიური მოქმედებები. პირველი შთაბეჭდილება, შექმნილი ადამიანზე, ხომ ყველაზე ძლიერია და საკმაოდ დიდ ხანს რჩება. ახალმა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს და ახსოვდეს, რომ მისი მოქმედებების შემადგენლობა და თანმიმდევრობა უნდა განისაზღვრებოდეს არა მარტო მის მიერ დამუშავებული კოლექტივის მუშაობის სტრატეგიით, არამედ პიროვნებათაშორის ურთიერთობათა განსაკუთრებულობითაც.

სიტუაციის შესწავლის მიზნები:

1. ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების პროცედურის შესწავლა;
2. თანამდებობის დაკავების პრობლემის მიმართ სხვადასხვა მოსაზრებათა გამოვლენა;
3. ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების მზადყოფნის შეფასება;
4. საქმიანი ურთიერთობის ტრენინგი (წვრთნა), დისკუსიები, გადაწყვეტილებათა მიღება;
5. თანამდებობის დაკავების პროცესის მოდელირების შესწავლა;
6. ხელმძღვანელის კოლექტივთან გაცნობის ტიპური პროცედურების დამუშავება, პირველ დღეებში სამუშაო გეგმის, ახალ პირობებში გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის შემუშავება.

სიტუაციის განხილვის წესები:

1. სიტუაციას მართავს მასწავლებელი;
2. მუშაობის ხანგრძლივობა 2 საათი;
3. თითოეული გუნდისათვის ტემატიკა განისაზღვრება მონაწილეთა პრაქტიკული დაინტერესებისა და ხელმძღვანელის რეკომენდაციის მიხედვით;
4. მომხსენებლები (თანამდებობის დაკავების პრეტენდენტები) უნდა იყვნენ დანერგულნი თვალსაჩინოებებს;
5. მოხსენებისა და დისკუსიის რეგლამენტი მკაცრად უნდა იყოს დაცული (5-8 წუთი). თუ მასალა ახალია, ხოლო მისი გადმოცემის ფორმა ორიგინალურია, შეიძლება გახანგრძლივდეს სიტყვაში გამოსვლა. თუ პრეზენტაცია უინტერესოა – ის უნდა შეწყდეს;

6. სიტუაციის გარჩევის მონაწილენი უნდა უსვამდნენ კითხვებს მომხსენებლებს იმგვარად, რომ მიმდინარეობდეს აქტიური დისკუსია;
7. ექსპერტები აძლევენ ზუსტ და ობიექტურ შეფასებებს მოხსენებებისა და ჯგუფების საქმიანობის მიმართ;
8. მომხსენებელი, რომელიც მიიღებს თავისი მოხსენებისათვის ყველაზე მაღალ შეფასებას ხდება პირველი პრეტენდენტი.

სიტუაციის დამუშავების წესი.

მუშაობის ჩატარების დროს ამოსავალ ინფორმაციად გამოიყენება: პრობლემური სიტუაციისა და მონაწილეთათვის დავალებათა მიცემის დახასიათება (აღწერა).

თამაში მოიცავს ხუთ ეტაპს.

ეტაპი I. დავალების დასახვა

მასწავლებელი ასაბუთებს სიტუაციის აუცილებლობას, განმარტავს, ანაწილებს როლებს. ამისათვის ჯგუფიდან არჩევენ სამ ლიდერს, რომელთაგან თითოეული იღებს ინდივიდუალურ დავალებას, აყალიბებს თავისი შეხედულებისამებრ სამუშაო ჯგუფს, არჩევს რა მონაწილეთა რიცხვიდან ადამიანს. პირველი ჯგუფი იღებს დავალებას მოეშადოს ახალ კოლექტივში წარსადგენად. ეორეს დავალება შეიმუშაოს სამუშაო გეგმა პირველი დღისათვის, მესამეს – შეიმუშაოს შეთავაზებული სიტუაციების გადაწყვეტა (იხილეთ ქვემოთ, საქმეში „პრობლემური სიტუაციის დახასიათება“, დავალებები № 1, 2, 3 – შესაბამისად). დანარჩენი მონაწილეები იყოფიან ექსპერტთა სამ ჯგუფად, რომელთაგან ერთი მათგანი შეაფასებს წარდგენას ახალ კოლექტივში, მეორე კი – სამუშაო გეგმას, მესამე – მიღებულ გადაწყვეტილებებს. ექსპერტები ღებულობენ დავალებათა ასლებს და აუცილებელ ინფორმაციას შრომით კოლექტივში საქმეთა მდგომარეობის შესახებ ახალი ხელმძღვანელის მიერ თანამდებობის დაკავების მომენტისათვის. პირველი ეტაპის ხანგრძლივობა 10-15 წუთი.

ეტაპი II. მოქმედებათა პროგრამის დამუშავება

ჯგუფები ემზადებიან თამაშისათვის: მოიფიქრებენ დავალებას, ადგენენ მისი რეალიზების გეგმას, დაამუშავებენ ძირითად ეტაპებს და ა.შ. ხანგრძლივობა 25-30 წუთი.

ეტაპი III. რამზმების ლიდერთა გამოსვლები

მაგიდას მიუჯდებიან სამი მონაწილე თავიანთი თანაშემწეებით. პირველი ჯგუფის ლიდერი წარმოთქვამს შესავალ სიტყვას კოლექტივის წინაშე, რომლის როლს თამაშობენ სასწავლო ჯგუფის მსმენელები, უპასუხებენ კითხვებს. შემდეგ თამაშის მეორე მონაწილე აცნობს ჯგუფის პირველი დღისათვის შემუშავებულ საიდუმლო გეგმას, არგუმენტაციას უკეთებს რა ეტაპების მიზანშეწონილობასა და თანმიმდევრობას. მესამე მონაწილე მოუთხრობს, რა სიტუაციებს წააწყდა პირველ დღეს და რა გადაწყვეტილებები მიიღო. სიტუაციის გარჩევის პროცესში გამომსვლელთა თანაშემწეებს შეუძლიათ მათი დამატების გაკეთება, ზოგიერთი ღებულებების შესწორება, უპასუხონ კითხვებს, თუ ეს უძნელდება თვითონ გამომსვლელს. ხანგრძლივობა 30-35 წუთი.

ეტაპი IV. დისკუსია

მონაწილეობს მთელი ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფების წარმომადგენლები შეაფასებენ ხუთბალანიანი სისტემით თამაშის თითოეულ მონაწილეს და მის თა-ნაშემწეებს, არგუმენტირებას უკეთებენ რა თავიანთ გადაწყვეტილებებს. შემდეგ ტარდება ახალი ხელმძღვანელის მიერ თანამდებობის დაკავების პრობლემის საერთო განხილვა, გამოითქმება და ჩაიწერება წინადადებები. ხანგრძლივობა 25-30 წუთი.

ეტაპი V. სიტუაციის გარჩევა და შედეგების შეჯამება

მასწავლებელი შეაფასებს ექსპერტთა ჯგუფების თამაშის მონაწილეთა მუშაობას, აანალიზებს რა სიტუაციის განხილვის მიმდინარეობას, გამოთქმულ წინადადებათა შინაარსს, მსმენელთა ქცევას და აქტიურობას, ყურადღებას მია-პყრობს სწორ გადაწყვეტილებებსა და ტიპურ შეცდომებზე, აყალიბებს ძირითად პრაქტიკულ დასკვნებს შესაძლო წინადადებათა გათვალისწინებით, მიმართულს გადაწყვეტილებათა გაუმჯობესებისაკენ. ხანგრძლივობა 10-15 წუთი.

საქმიანი თამაშის მიზნები და ამოცანები

საქმიანი თამაში „გონებრივი შტურმი“ არის ახალი იდეების წამოყენების პროდუქტიული ხერხი. ხანდახან საკმაოდ რთული პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარებოდა ტრადიციული ხერხებით გადაჭრას, მოულოდნელად ორიგინალურად გადაწყდებოდა ხოლმე „გონებრივი შტურმის“ მეთოდით. ეს მეთოდი ავიტარებს აზროვნებით პროცესებს, უნარს აბსტრაგირება მოახდინონ ობიექტური პრობლემისა და არსებული შეზღუდვებისაგან, ცოდნასა და უნარს ყურადღება იქნეს მიპყრობილი რომელიღაც ვიწრო აქტუალური მიზნისაკენ და ა.შ.

საქმიანი თამაშის ჩატარების წესი

1. პრობლემის დასახვა

ამოცანის დასაბუთება გადაწყვეტილების მიებისათვის. კოლექტიური სა-მუშაოს პრობლემის განსაზღვრა, სტუდენტებისათვის გადაწყვეტილების მიების და „გონებრივი შეტევის“ პროცესში ქვევის წესების მიცემა.

რამდენიმე სამუშაო ჯგუფების (3-5 კაციანი) და ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის მოვალეობა იქნება კრიტერიუმების შემუშავება, საუკეთესო იდეების შეფასება და შერჩევა. დრო - 10 წუთი.

2. გამართვა (ამოძრავება)

ვარჯიშები დასმულ კითხვებზე პასუხების სწრაფ მოძებნაზე. ამ ეტაპის ამოცანა - დაეხმაროს სტუდენტებს მაქსიმალურად განთავისუფლდნენ ფსიქოლოგიური ბარიერების შემოქმედებისაგან (უხერხულობა, მორცხობა, ჩაკეტილობა და ა.შ.) დრო 15-20 წუთი.

3. „გონებრივი შეტევა“ - დასახული პრობლემის

წინასწარ კიდევ ერთხელ ზუსტდება ამოცანა, შესხენება ხდება ქვევის წესების თამაშის მსვლელობაში. იდეების გენერირება იწყება მასწავლებლის სიგნალით ერთდროულად ყველა სტუდენტურ მუშა ჯგუფებში. თითოეულ ჯგუფს მიემარება ექსპერტი სტუდენტთა რიგებიდან, რომლის ამოცანაა ქა-ღალღზე დააფიქსიროს წამოჭრილი იდეები. დრო 10-15 წუთი.

4. საუკეთესო იდეების შეფასება და შერჩევა.

სანამ ექსპერტები შერჩეული კრიტერიუმების საფუძველზე არჩევენ იდეებს, მუშა ჯგუფები ისვენებენ. დრო 10-15 წუთი.

5. „გონებრივი შეტევის“ შედეგების შეტყობინება.

მუშაობის შედეგების განხილვა, საუკეთესო იდეების შეფასება, მათი დასაბუთება და საჯაროდ დაცვა. კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება.

საქმიანი თამაშის სცენარი.

1. თამაშის დროს არ არიან არც უფროსები, არც ქვეშევრდომები, არც ახალბედები, არც ვეტერანები; არიან წამყვანი და მონაწილეები; არავის არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს განსაკუთრებულ როლზე ან პრივილეგიაზე; თვით ბრწყინვალე იდეების ავტორებსაც კი უპირატესობას არ ანიჭებს;

2. თამაშის მონაწილე არ უნდა ისწრაფვოდეს თავისი შემეცნებისა და კვალიფიკაციის დემონსტრირებისაკენ, არამედ ისწრაფვოდეს წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტისაკენ;

3. „გონებრივი შტურმი“ მოითხოვს აზრებისა და თავისუფლების სრულ გამოთავისუფლებას გამოსვლისათვის. რაც უფრო მოულოდნელია და უჩვეულოა იდეა, მით უფრო მეტი საფუძველია მისი წარმატებისათვის;

4. რაც უნდა ფანტასტიკური და დაუჯერებელი იყოს იდეა, წამოჭრილი თამაშის მონაწილეთაგან, იგი უნდა იყოს მოწონებით მიღებული;

5. კატეგორიულად იკრძალება ურთიერთშორის კრიტიკული შენიშვნები და შუალედური შეფასებები – ისინი ხელს უშლიან ახალი იდეების აგებასა და ფორმირებას;

6. თავი უნდა შეიკავონ გადაჩურჩულებისაგან, მიხედ-მოხედვისაგან, ჟესტებისაგან, რომლებიც შეიძლება არასწორედ იქნეს გაგებული თამაშის სხვა მონაწილეების მიერ;

7. „გონებრივი შეტევა“ ვერ იტანს შაბლონურ აზროვნებას. სტერეოტიპების ტყვეობისაგან, სტანდარტებისა და ტრადიციებისაგან სრული განთავისუფლება – უმნიშვნელოვანესი პირობაა შემოქმედებითი მიებისათვის;

8. თუ არ გინდათ გაწიროთ ძიება წარუმატებლობისათვის, განერიდეთ აზრს, რომ განსახილველი პრობლემა შეიძლება გადაწყვეტილი იქნას მხოლოდ ცნობილი ხერხებით;

9. არ დაუშვათ მსჯელობა, თითქოს მოცემული პრობლემა საერთოდ გადაუჭრელია. თეორიულად ასეთი დებულებები პრაქტიკაში არ არსებობს;

10. ეცადეთ დასწავისშივე თავი დააჯეროთ, რომ ამ პრობლემის დადებითად გადაჭრას თქვენთვის საგანგებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს;

11. რაც მეტი წინადადებებია წამოყენებული, მით მეტია ალბათობა ახალი და ფასეული იდეის გამოჩენისა;

12. თამაშის მსვლელობისას დაიშვება და მისასაღმებელია დამატებები და იდეების სრულყოფა, წამოჭრილის თქვენს მიერ ან „გონებრივი შეტევის“ სხვა მონაწილეთაგან;

13. ნებადართულია დაუსვათ შეკითხვები კოლეგებს მათი იდეების დაზუსტების და განვითარების მიზნით. კითხვა არ უნდა შეიცავდეს შეფასებას ან იდეისადმი თქვენს დამოკიდებულებას;

14. გულდასმით, კორექტულად ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრები, არ გეწყინოთ, თუ თქვენ ვერ გაგიგებენ, შეეცადეთ კიდევ ერთხელ გადმოსცეთ იდეა;

15. არ დაელოდოთ მოწონებებს ან დაგმობას თქვენი წინადადებების კოლეგების მიერ, უმჯობესია დაფიქრდეთ, თუ როგორ შეიძლება მისი სრულყოფა;

16. არ მიმართოთ „გონებრივი შეტევის“ ხელმძღვანელს მხარდასაჭერად - თამაშის დამთავრებამდე მას არა აქვს უფლება საჯარო შეფასებებზე;

17. თუ პრობლემა მთლიანობაში გადაწყვეტას არ ექვემდებარება, შეეცადეთ დაანაწევროთ იგი შემადგენელ ელემენტებად და ჩაუფიქრდეთ თითოეულ მათგანს;

18. დაფიქრდებით, ჩაულრმავდებით გადასაწყვეტად წამოყენებულ პრობლემას, შეიძლება ეცადოთ გააკეთოთ ყველაფერი, პირიქით, დასახოთ ამოცანა, მოცემულის საპირისპირო, შეცვალოთ მოქმედებათა, ოპერაციების, დეტალების დალაგების და ა.შ;

19. შეეცადეთ ამ პრობლემის გადასაწყვეტად გამოიყენოთ თქვენთვის ცნობილი ხერხები და წესები, რომელთა გამოყენება სხვა სიტუაციებში იზლევდა დადებით შედეგებს;

20. დასახული ამოცანის შეფასება და გადაწყვეტა არაა საგალდებულო იხილოთ მხოლოდ ფირმაში, ეცადეთ მოიგონოთ მსგავსი პრობლემების საინტერესო მოულოდნელი გადაწყვეტა სხვა საქმიანობებში;

21. ნუ მოგერიდებთ თვითნებურად შეცვალოთ პარამეტრები დასახულ პრობლემაში – შეამციროთ ან გაზარდოთ ღირებულება, ვადები, ზომა, მანძილი და ა.შ. თუ იდეა გადაწყვეტის მოინახა, იგი შეიძლება დამატებით დამუშავდეს ფირმისაგან დაწესებულ ზღვარის დონემდე;

22. „გონებრივი შეტევის“ პროცესში ნაკლებად მიაქციეთ ყურადღება შესაძლო შედეგებს. იფიქროთ იმაზე, რამდენად თქვენი წინადადება შეიძლება იყოს არსებითი ფირმისათვის. რომელშიც თქვენ მუშაობთ;

23. გახსოვდეთ, რომ ოპტიმიზმი და დარწმუნება ამდიდრებენ ადამიანის გონებრივ და ფსიქიკურ ენერჯიას;

24. ხუთ წუთში თამაშის დაწყებამდე ეცადეთ უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

ქმისახურებს თუ არა ეს პრობლემა ჩემს ყურადღებას:

რას გვამლევს მისი გადაწყვეტა?

ვისთვის ან რისთვისაა იგი საჭირო?

რა მოხდება, თუ არაფერს შევცვლი?

რა მოხდება თუ მე არ წამოვაყენებ არცერთ იდეას?

სიტუაციები მაგალითისათვის „გონებრივი შტურმის“ ჩასატარებლად.

დავალება 1.

წამოაყენეთ რამდენიმე იდეა, რომელსაც თქვენ რეალიზებას გაუკეთებთ, თუ თქვენ დაგნიშნავენ ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის დირექტორად (საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსად).

დავალება 2.

წამდვილად არიან, თუ არა მამაკაცები ქალებზე უფრო ნიჭიერები მმართველობით საქმიანობაში? არა, ახსენით, რატომ წარმოიიშვა ეს მოსაზრება (მოიყვანეთ მაგალითები).

დავალება 3.

თუ ფირმის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური დისციპლინის დამრღვევი, რომლის გამგებლობას დაგმოხენ კოლექტივში, წამოდგა და დემონსტრაციულად გავიდა ოთახიდან, რა მოქმედებებს მიმართავდით თქვენ და სადამდე მიგვიყვანდა ეს მოქმედება?

დავალება 4.

რა იდეებს შესთავაზებდით თქვენ იმისათვის, რომ შემცირებულიყო ფირმის მიერ წარმოებული წუნდებული პროდუქციის რაოდენობა?

თითოეული დავალების შესრულების დრო – 5 წუთი

კონკრეტული სიტუაციის ანალიზი

ნავთობსადენის პროექტის მენეჯმენტის მორალური და ეკოლოგიური ასპექტები

წინამდებარე მასალაში ასახული მოვლენა მოხდა საქართველოში „ვარდების რევოლუციამდე“ რამდენიმე წლით ადრე. იმ პერიოდში ცხარე დისკუსია მიმდინარეობდა ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მონაკვეთის გავლის ეკოლოგიურ მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით. პროფესიულ დონეზე საკითხის გარკვევისათვის მუშაობდა ექსპერტების ჯგუფი.

ერთ სადამოს მასმედიის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე ნავთობსადენის მონაკვეთის გავლა.

მეორე დილით მასმედიის საშუალებებმა გვამცნეს ახალი ამბავი. კერძოდ, ნაშუადაშვეს ქვეყნის პრეზიდენტთან გამოძახებულმა მინისტრმა ხელი მოაწერა დიამეტრალურად განსხვავებულ დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც დაშვებულ იქნა ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გავლა. დილით საინფორმაციო წყაროებში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებებს ღებულობს თვითონ. მინისტრი კი დაბრუნდა თავის კაბინეტში და განაგრძო გარემოსდაცვითი სფეროს ხელმძღვანელობა.

სადისკუსიო საკითხები

1. გამოთქვით თქვენი აზრი ნავთობსადენის პროექტის მონაწილეების (პროექტის ინიციატორი, შემკვეთი, ინვესტორი, პროექტის მენეჯერი, პროექტის პროდუქტის მომხმარებელი) როლების შესახებ.
2. როგორ მიგაჩნიათ, საზიანოა თუ არა ბორჯომის რაიონის ეკოლოგიური სისტემისათვის ნავთობსადენი?
3. ჰქონდა თუ არა იურიდიული, პროფესიული და მორალური უფლება ქვეყნის პრეზიდენტს თვითონ მიეღო გადაწყვეტილება? და თუ ჰქონდა, – რატომ თვითონ არ მოაწერა ხელი სათანადო დოკუმენტს?
4. ჰქონდა თუ არა იურიდიული, პროფესიული და მორალური უფლება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს დიამეტრალურად შეეცვალა წინა დღეს საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება?
5. მომხდარის შემდეგ რამდენად ეთიკურია მინისტრის მიერ თავის პოსტზე საქმიანობის გაგრძელება?
6. რა საკითხს დაამატებდით სადისკუსიოდ?

ტესტები

როგორც მოვლენა რას წარმოადგენს მენეჯმენტი?

- ა) მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე არამიზანმიმართულ, არაგეგმაზომიერ ზემოქმედებას;
- ბ) მართვის ობიექტის მიერ მართვის სუბიექტზე მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ ზემოქმედებას;
- გ) მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ ზემოქმედებას;
- დ) მართვის ობიექტის მიერ მართვის სუბიექტზე არამიზანმიმართულ, არაგეგმაზომიერ ზემოქმედებას;

რა არის ადმინისტრაციული სისტემა?

- ა) მართვის კონკრეტული მექანიზმების ერთობლიობა, რომლებსაც არასაბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;
- ბ) მართვის კონკრეტული მექანიზმების ერთობლიობა, რომლებსაც საბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;
- გ) მართვის კონკრეტული მექანიზმების ცალკეული ელემენტები, რომლებსაც საბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;
